ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4642760

ნომერი: AR1698604

თარიღი : 05.08.2019

გაცემის თარიღი : 22.08.2019

გაცნობის თარიღი : 22.08.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 20 , (ნაკვ. 02/035);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი ავაქიშვილი პ/ნ 36001003531
- საგარეჯო ს. მანავი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, კაიროს ქუჩა #20-ში, (ს/კ N 01.19.21.002.035) შპს

„ემეს მოტორსი“ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მსუბუქი კონსტრუქციის მქონე I კლასის ავტოსერვისის ფუნქციის შენობა-ნაგებობის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს. I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს მშენებლობის ნე¬ბართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882019434950 - 06/06/2019, საკადასტრო კოდი N 01.19.21.002.035, სიტუაციური გეგმა და საპროექტო ფოტომონტაჟი; მინდობილობა; ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის სპეციალუტი (ზონალური) შეთანხმება 01.08.2019 წლის #ბ01.011921364 ბრძანება) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, კაიროს ქუჩა #20-ში, (ს/კ N 01.19.21.002.035) შპს „ემეს მოტორსი“ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მსუბუქი კონსტრუქციის მქონე I კლასის ავტოსერვისის ფუნქციის შენობა-ნაგებობის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ : -მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

- საკადასტრო საზღვრიდან 3 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორების შენთხვევაში სამეზობლო მიჯნის მხარეს დაუშვებელია კედელში ხვრეტების მოწყობა (კარის,ფანჯრის, ფრამუგის და შესაძლებელია მინაბლოკის მოწყობა);
- სამეზობლო მიჯნის მხარეს, საკადასტრო საზღვრიდან შენობის კიდემდე 5 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორებისას, სამშენებლო მასალად გამოყენებული უნდა იქნას ცეცხლგამძლე–არაწვადი მასალა ან მისი ზედაპირი დამუშავებული უნდა იქნას ცეცხლგამძლე ხსნარით;
-ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში და საჭიროების შემთხვევაში საპროექტო ობიექტის მშენებლობს საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან;
–მშენებლობის წარმოებისას მაქსიმალურად დაცული და შენარჩუნებული იქნას ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგაობა, საპროექტო ობიექტი განთავსდეს არსებული ხეებიდან სავალდებულო მანძილის დაცილებით, ხოლო ხის– მოჭრის ან გადარგვის საჭიროების შემთხვევაში საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციასთან

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.